

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და
სპორტის სამინისტრო

ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

**Ministry of Education, Culture and Sport of the Autonomous Republic
of Adjara**

Batumi Art State Teaching University

სტუდენტთა VII საერთაშორისო სამეცნიერო

კონფერენცია

„ტრადიცია და თანამედროვეობა“

26 აპრილი

VII International Scientific students Conference

“Tradition and Contemporaneity”

April 26

ბათუმი-Batumi

2024

ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო და საგამომცემლო განყოფილება ფინანსური მხარდაჭერისათვის მადლობას უხდის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს.

The Scientific and Publishing Department of Batumi Art State Teaching University thanks for the financial support to the Ministry of Education, Culture, and Sport of the Autonomous Republic of Adjara.

ლატვიის ხელოვნების აკადემია და უნგრეთის კაროლი ესთერჰაზის კათოლიკური უნივერსიტეტი გახლავთ ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის VII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „ტრადიცია და თანამედროვეობა“ თანაორგანიზატორები.

Art Academy of Latvia and Eszterházy Károly Catholic University are co-organizers of the Batumi Art State Teaching University VII International Scientific Conference “Tradition and Contemporaneity.”

კონფერენციის მხარდამჭერებია:

აჭარის ა.ა.რ. ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი;

აჭარის მუზეუმების გაერთიანება;

აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებელი;

გაზეთი „აჭარა“.

The conference supporters are:

Department of Tourism and Resorts of Ajara A.R.;

Union of Ajara Museums;

Public Broadcaster of Ajara TV;

Newspaper „Ajara“.



კონფერენციის საორგანიზაციო ჯგუფი:

თეა ცაგურია - ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის სამეცნიერო და საგანმანათლებლო განყოფილების უფროსი, ასისტენტ-პროფესორი, ფილოლოგიის დოქტორი.

სალომე ჩიკაშუა - ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის, საერთაშორისო ურთიერთობების მენეჯერი, ინგლისური ფილოლოგიის მაგისტრი.

ერმილე მესხია - განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;

გელა ბერიძე- ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.

აკაკი მუხაშავერია- IT მენეჯერი.

მართა ბაღდადიშვილი- სამსახიობო ხელოვნების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის I კურსის სტუდენტი;

ნინო გოგიბერიძე - ხელოვნებათმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის II კურსის სტუდენტი, უნივერსიტეტის სტუდენტთა თვითმმართველობის პრეზიდენტი.

Conference Organising Committee:

Tea Tsaguria — Head of the Scientific and Publishing Department of Batumi Art State Teaching University, Assistant Professor, Doctor of Philology.

Salome Chikashua –Manager of International Relations at Batumi Art State Teaching University, Master of English Philology.

Ermile Meskhia – Dean of the Faculty of Education, Humanities and Social Sciences, Professor

Gela Beridze - Organizational issues - Head of Administration

Akaki Mukhashavria - IT Manager .

Marta Baghdadishvili – 1st-year student of BA educational program in Acting Art

Nino Gogiberidze – 2nd-year student of BA educational program in Art Criticism, President of Student Self-Governance.

კონფერენციის სამუშაო განრიგი

26 აპრილი

- 09.30-10.00 - მონაწილეთა რეგისტრაცია.
- 10.00-10.30 – კონფერენციის გახსნა.
- 10.30- 12.30 – I სესია.
- 12.30-13.00 – შესვენება ყავისთვის.
- 13.00-15.00 – II სესია.
- 15.00-15.30 – ხემსი (შვედური მაგიდა).
- 15.30-16:00 – კონფერენციის შეჯამება და დახურვა.
- 16:00 – 17:30 - ქალაქის ტური (სურვილისამებრ).

რეგლამენტი:

მომხსენებელთათვის - 15 წთ.

დისკუსიისთვის - 5 წთ.

Conference Schedule

April 26

- 09.30-10.00 - Registration of Participants
- 10.00-10.30 – Conference Opening
- 10.30-12.30 - Sessional Meeting I
- 12.30-13.00 - Coffee Break
- 13.00-15.00 - Sessional Meeting II
- 15.00-15.30 - Lunch
- 15.30-16.00 – Conference Summing up and Closing
- 16.00-17.30 - Cultural Program: City Tour (Optional)

Time Limit

Presentations - 15 minutes

Discussions - 5 minutes

I სესია
ხელოვნებათმცოდნეობა
მოდერატორი : პროფესორი მათა ჭიჭილეიშვილი

I სექცია - 10:30 - 12:30

1. ნინო ნიკურაძე
2. თეონა პაპუაშვილი, ლიკა ჩოგოვაძე
3. ანა ეხვავია
4. თეონა ირემაძე
5. ინგა ბერიძე
6. ნინო დუმბაძე
7. ქეთევან ცეცხლაძე

ხელოვნებათმცოდნეობა
მოდერატორი : პროფესორი რატი ჩიბურდანიძე

II სექცია - 10:30-12:30

1. ნია შატაკიშვილი
2. დანა ალამანოვა
3. თენგიზ დოლიძე
4. ნინო გოგიბერიძე
5. იმოლა ცხიკო
6. დოროტია ვერს

ხელოვნებათმცოდნეობა
მოდერატორი : ასისტენტ-პროფესორი ნათია კვაჭაძე

III სექცია - 10:30-12:30

1. მარიამ თავდგირიძე
2. ანნა მელია, შორენა ჩოგაძე

3. დინარა ესმაგამბეტოვა
4. კრისტა პეტრაუსკა
5. ლიანა მაკარიან
6. ლიუბოვ კაშარნაია
7. ლიზი ახალაძე

მედია

I V სექცია 10:30-12:30

მოდერატორი: სოციალურ მეცნიერებათ დოქტორი - ინგა ზოიძე

1. მაკა ბასილიძე
2. თათია კოკობინაძე
3. გურამ ლილუაშვილი
4. თამარ ოყუჯავა
5. მეგი ჯომიდავა
6. მარიამ ცინცაძე

II სესია

კინომცოდნეობა

**მოდერატორი - ხელოვნების თეორიისა და ისტორიის დოქტორი
(კინომცოდნე) ნატო ცქვიტინიძე**

I სექცია - 13:00-15:00

1. მარიამ ახალკაცი
2. ნინო ქავთარაძე
3. ნინო გოგიბერიძე
4. პარვანა ჰასანოვა
5. კონულ სარკარნამაზოვა

6. ტურლენ კალდიბეკოვა
7. აიშა ალდაკეიევა

მუსიკისმცოდნეობა

მოდერატორი: პროფესორი ხათუნა მანაგაძე

II სექცია - 13:00-15:00

1. თეონა უგულავა
2. ანა სტროგანოვა
3. არშატ შარიპ
4. ჯანელე საფიევა
5. ნურ აბილკასიმ
6. ერნაზარ გიმარატ

თეატრმცოდნეობა, განათლება

მოდერატორი: ლექტორი - თამარ გუდავა

III სესია - 13:00-15:00

1. მართა ბაღდადიშვილი, ნუცა ლამპარაძე
2. დარია ზადოროჟნია
3. ანასტასია ჩერნეცოვა
4. ანა სულამანიძე
5. აზიზა ტლეუხან
6. შაკირა დოსმუხამბეტ
7. ოლექსანდრ ლევიტსკი
8. აიხან ალიზადეჰ

Session I

Art Criticism

Moderator: Professor Maia Chichileishvili

Session I - 10:30 - 12:30

1. Nino Nikuradze
2. Teona Papuashvili, Lika Chogovadze
3. Ana Ekhvaia
4. Teona Iremadze
5. Inga Beridze
6. Nino Dumbadze
7. Ketevan Tsetskhladze

Art Criticism

Moderator: Professor Rati Chiburdanidze

Section II - 10:30-12:30

1. Nia Shatakishvili
2. Dana Alamanova
3. Tengiz Dolidze
4. Nino Gogiberidze
5. Imola Cziko
6. Dorottya Veress

Art Criticism

Moderator: Assistant-Professor Natia Kvachadze

Section III - 10:30-12:30

1. Mariam Tavdgiridze
2. Ana Melia, Shorena Chogadze
3. Dinara Yesmagambetova
4. Krista Petrauska

5. Liana Makaryan
6. Liubou Kasharnaya
7. Lizi Akhaladze

Media

Moderator: Doctor of Social Sciences - Inga Zoidze

Section IV
10:30-12:30

1. Maka Basilidze
2. Tatia Kokobinadze
3. Guram liluashvili
4. Tamar Okujava
5. Megi Jomidava
6. Mariam Tsintsadze

Session II

Film Studies

**Moderator - Academic Doctor of Art Theory and History Nato
Tskvitinidze**

Section I - 13:00-15:00

1. Mariam Akhalkatsi
2. Nino Kavtaradze
3. Nino Gogiberidze
4. Parvana Hasanova
5. Konul Sarkarnamazova
6. Turlen Kaldybekova
7. Aisha Aldakeyeva

Music Studies

Moderator: Professor – Khatuna Managadze

Section II - 13:00-15:00

1. Teona Ugulava
2. Ana Stroganova
3. Arshat Sharip
4. Janelle Safiyeva
5. Nur Abilkassym
6. Yernazar Gimarat

Theatre Studies, Education

Moderator: Lecturer– Tamar Gudava

Session III - 13:00-15:00

1. Marta Bagdadishvili, Nutsa Lamparadze
2. Daria Zadorozhnia
3. Anastasia Chernecova
4. Aana Sulamanidze
5. Aziza Tleukhan
6. Shakira Dosmukhambet
7. Oleksandr Levytskyi
8. Aykhan Alizadeh

თეზისები

Abstracts

ხელოვნებათმცოდნეობა
Art Criticism

*ნინო ნიკურაძე
ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა
ფაკულტეტი
ხელოვნებათმცოდნეობა, I კურსი, ბაკალავრი
ხელმძღვანელი: ასისტენტ-პროფესორი - ნათია კვაჭაძე
საქართველო, ბათუმი*

ფოთის საკათედრო ტაძარი

საქართველოში არსებულ ხუროთმოძღვრულ ძეგლებს შორის არქიტექტურული სტილის მიხედვით უნიკალურია ფოთის საკათედრო ტაძარი, იგი ბიზანტიურ სტილშია აგებული და წარმოადგენს აია-სოფიას ტაძრის თითქმის ზუსტ ასლს შემცირებული მასშტაბით. 1895 წელს ტაძრის მშენებლობის კომიტეტს ქალაქის მერი - ნიკო ნიკოლაძე ჩაუდგა სათავეში, რომელსაც ქართული ხუროთმოძღვრული სტილის ტაძრის აგება სურდა, მაგრამ პროექტი რუსულმა მთავრობამ დაიწუნა.

მოგვიანებით არქიტექტორების ზელენკოსა და მარფელდის მიერ შემოუშავებულ იქნა ახალი პროექტი კონსტანტინეპოლში არსებული აია-სოფიას ტაძრის მიხედვით. ნიკო ნიკოლაძეს თავად შეურჩევია ადგილი ტაძრისათვის ქალაქის ცენტრში, ისტორიული ფაქტებით მშენებლობა 1906 წელს ჯვართამაღლების

დღესასწაულებზე დაწყებული და დაახლოებით ერთ წელში დასრულდა.

კომუნისტური ხელისუფლების „ბნელით მოსილი განზრახვანი“ ფოთის საკათედრო ტაძარსაც შეეხო და 1932 წელს ტაძარი თეატრად გადაკეთდა, დროთა განმავლობაში შენობის რეკონსტრუქცია რამდენჯერმე განხორციელდა, რის შედეგადაც ტაძრის იერსახე საკმაოდ შეიცვალა.

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ 90 - იანი წლებიდან საქართველოს ეკლესიამ ტაძრის დაბრუნების სურვილი გამოთქვა, თეატრმა შენობის დათმობაზე უარი განაცხადა. ეკლესიასა და ტაძარს შორის დავა დიდხანს გაგრძელდა, საბოლოო გადაწყვეტილება ე.წ. „ვარდების რევოლუციის“ შემდგომ მოსული ხელისუფლების დროს იქნა მიღებული. 2005 წლის ნომბერში საქართველოს პრეზიდენტმა მ. სააკაშვილმა შენობა საპატრიარქოს გადასცა.

რეკონსტრუქციის შედეგად ტაძრის დღევანდელი იერსახე მაქსიმალურად არის მიახლოებული მის ისტორიულ კონტურებთან, ტაძრის პროექტი არქიტექტორ მამუკა ჩხეიძეს ეკუთვნის.

*Nino Nikuradze
Batumi Art State Teaching University
Faculty of Education, Humanities and Social Sciences
Art Criticism, BA, 1st -year
Supervisor: Assistant-professor – Natia Kvatchadze
Georgia, Batumi*

Poti Cathedral

Among Georgia's architectural monuments, the Poti Cathedral is unique in terms of its style. It was built in the Byzantine style and is an almost exact copy of the Hagia Sophia on a reduced scale. In 1895, the city mayor Niko Nikoladze headed the temple construction committee, which wanted to build a Georgian temple, but the Russian government rejected the project.

Later, architects Zelenko and Marfeld developed a new project based on the Hagia Sophia in Constantinople. Niko Nikoladze himself chose the center of the city for the temple. According to historical facts, construction started in 1906, on the Feast of the Holy Cross, and was completed in about a year.

The communist government's "clothed in darkness target" also affected the Poti Cathedral. In 1932, the cathedral was transformed into a theater. Over time, the building was reconstructed several times, and as a result, the temple's appearance changed significantly.

After the restoration of Georgia's independence in the 90s, the Georgian Church expressed its desire to return the cathedral. The theater refused to surrender the building. The dispute between the church and the theater continued for a long time. The final decision was made during the government that came after the so-called "Rose Revolution". In November 2005, the President of Georgia, M. Saakashvili, handed over the building to the Patriarchate.

The reconstruction has resulted in the temple's present appearance being as close as possible to its historical contours.

The Temple project belongs to the architect Mamuka Chkhaidze.

*ნია შატაკიშვილი
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ქართული ფილოლოგია, ბაკალავრი, II კურსი
ხელმძღვანელი: პროფესორი - თამარ გოგოლაძე
საქართველო, გორი*

იმპრესიონიზმი ქართულ კულტურაში

(ლიტერატურა, ფოტოხელოვნება)

1. ტერმინი „იმპრესიონიზმი“ ფრანგული წარმოშობისაა და ნიშნავს შთაბეჭდილებას. კულტურაში ისაა ერთ-ერთი მხატვრული მიმართულება, რომელიც დაიბადა 1867 წელს საფრანგეთში. იმპრესიონიზმის ყურადღება გადატანილია არა რეალური ცხოვრების ტიპიური მოვლენებზე, არამედ განსაკუთრებული მოვლენების სუბიექტურ აღქმაზე. მის ფუძემდებლად ითვლება კლოდ მონე, რომლის ნახატმა „შთაბეჭდილება: მზის ჩასვლა“ ჟიურის მოწონება ვერ დაიმსახურა, თუმცაღა მაყურებელზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. აქედან იღებს სათავეს ხელოვნების ეს მომდინარეობა;

2. ჩვენი ქვეყნის რეალობაში იმპრესიონიზმი გამოჩნდა მე-20 საუკუნის დასაწყისიდანვე. იმპრესიონისტული იდეების გავრცელებას საქართველოში ბუნებრივი მიზეზი ჰქონდა. მწერლებს სურდათ, რომ ახალი მიდგომითა თუ სიტყვით წარმოეჩინათ ადამიანისა და სამყაროს დამოკიდებულება. იმპრესიონისტებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ნიკოლორთქიფანიძეს, თუმცა უნდა აღინიშნოს შალვა დადიანის

მინიატურები და ნოველები. ის ერთ-ერთი პირველია, ვინც ჩვენში გაავრცელა იმპრესიონისტული იდეები.

3. შეუძლებელია იმპრესიონიზმზე საუბრისას ყურადღება არ გამახვილდეს კონსტანტინე გამსახურდიას თეორიულ ნააზრევსა („იმპრესიონიზმი და ექსპრესიონიზმი“) და შალვა დადიანის მინიატურებზე. კონსტანტინე გამსახურდია თვლის, რომ საქართველოში იმპრესიონიზმი ორი გზით მოდის და მეტად საინტერესოა, როგორ განმარტავს ის ამ მოსაზრებას;

4. კულტურის შემადგენელი ნაწილია ფოტოხელოვნებაც. ის დღესდღეობით სულ უფრო პოპულარული დარგი ხდება. როგორც ცნობილია, პირველი ფოტოხელოვანი ჩვენი ქვეყნის რელობაში იყო ალექსანდრე როინაშვილი. ხელოვნებათმცოდნეები დღესაც მსჯელობის საგანს წარმოადგენს მისი ფოტოსურათები. ცდილობენ გამოარკვიონ არის თუ არა ისინი იმპრესიონიზმის ნიმუშები. ჩემი მიზანია, ჩემებური ხედვა გადმოვცე ამ მეტად საინტერესო და კომპლექსურ თემაზე და დავასაბუთო, რატომ შეიძლება ჩავთვალოთ ა. როინაშვილი იმპრესიონისტ ფოტოხელოვნად.

5. ამრიგად, საკონფერენციო მოსხენებაში ვეცდებით, ვაჩვენოთ იმპრესიონიზმის როლი და ადგილი როგორც ქართულ ლიტერატურაში, ისე ფოტოხელოვნებაში, მიმოვიხილოთ

თითოეულ დარგში მოღვაწე გენიალური პიროვნებების, შალვა დადიანისა და ალექსანდრე როინაშვილის, შემოქმედება და ის ნიშნები, რითაც ისინი მიჩნეულია იმპრესიონისტულ ნიმუშებად. აქვე ყურადღება გავამახვილოთ კონსტანტინე გამსახურდიას თეორიულ ნააზრევზე „იმპრესიონიზმი და ექსპრესიონიზმი.“

*Nia Shatakishvili
Gori State University
Faculty of Humanities
Georgian Philology, BA, 2nd-year
Supervisor: Doctor of Humanities, Professor- Tamar Gogoladze
Georgia, Gori*

Impressionism in Georgian Culture

(literature, photography)

1. The term "impressionism" is of French origin and means impression. In culture, it is one of the artistic directions that was born in 1867 in France. Impressionism focuses not on the typical events of real life but on the subjective perception of special events. Claude Monet is considered its founder, whose painting "Impression: Sunset" did not receive the jury's approval, although it made a great impression on the audience. This origin of art originates from this;

2. Impressionism appeared in the reality of our country from the beginning of the 20th century. The spread of impressionist ideas in Georgia had a natural reason. Writers wanted to present the attitude of man and the world with a new approach or word. Niko Lortkipanidze has an essential place among the impressionists, although the miniatures and novels of Shalva Dadiani should be mentioned. He is one of the first who has spread impressionist ideas among us.

3. When discussing Impressionism, it is impossible not to focus on the theoretical thought of Konstantine Gamsakhurdia ("Impressionism and Expressionism") and the miniatures of Shalva Dadiani. Konstantine Gamsakhurdia believes that impressionism came in two ways in Georgia, and it is very interesting how he explains his opinion;

4. Photography is also a part of culture. It is becoming an increasingly popular field nowadays. As it's known, the first photographer in our country was Aleksandre Roinashvili. His photographs are still the subject of debate among art critics today. They are trying to find out whether they are examples of impressionism. My goal is to convey my vision on this very interesting and complex topic and justify why we can consider that A. Roinashvili was an impressionist photographer.

5. In conclusion, in the conference report, we will try to show the role and place of impressionism both in Georgian literature and photography, review the works of geniuses working in each field, Shalva Dadiani and Aleksandre Roinashvili, and the signs by which they are considered impressionist examples. We will also focus on Konstantine Gamsakhurdia's theoretical thought, "Impressionism and Expressionism."

*თეონა პაპუაშვილი, ლიკა ჩოგოვაძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტი
გამოყენებითი დიზაინი, ბაკალავრი, IV კურსი
ხელმძღვანელი: პროფესორი -ნინო დოლიძე
საქართველო, ქუთაისი*

ინგილო ქალის ტრადიციული სამოსის ტრანსფორმაცია და მისი გამომწვევი მიზეზები

ქართული ეროვნული სამოსი ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ხელთუქმნელი ძეგლია, მან მიუხედავად ჩვენი ქვეყნის მძიმე ისტორიული პირობებისა შეძლო ტრადიციების და ქართული ხასიათის შენარჩუნება. ქართული ეროვნული სამოსი გამოირჩევა სინატიფითა და ინდივიდუალურობით. მის უნიკალურობას, სხვა მრავალ ფაქტორთან ერთად განაპირობებს გამოყენებული ქსოვილები, კონსტრუქციები, გაფორმება და ა.შ. ჩვენს საკვლევ თემას წარმოადგენს ინგილო ქალის ტრადიციული სამოსის შესწავლა და მასში განხორციელებული ტრანსფორმაციის პროცესის კვლევა, რომელიც განაპირობა მოსაზღვრე ქვეყნებთან ახლომეზობლურმა ურთიერთობამ. აღნიშნული თემით დაინტერესება განაპირობა ინგილო ქალის სამოსის ორიგინალობამ და მონაცემების სიმცირემ აღნიშნული საკითხის ირგვლივ.

ინგილოები ისტორიულად შედიოდნენ ქართული ეთნოსის შემადგენლობაში, თუმცა მეოცე საუკუნის დასაწყისში საზღვრების ცვლილების შედეგად მოხვდნენ აზერბაიჯანის ტერიტორიაზე. 1921 წელს საბჭოთა რუსეთმა საქართველოს ტერიტორიის ნაწილი – საინგილო აზერბაიჯანს გადასცა. დღეს საინგილოს ტერიტორია მოიცავს ბელაქნის, ზაქათლისა და კახის რაიონებს. დღეისათვის ინგილოები ცხოვრობენ ძირითადად აზერბაიჯანში. ქრისტიანი

ინგილოები თავს თვლიან ქართველებად, ხოლო მუსულმანები აზერბაიჯანლებად. მიუხედავად იმისა რომ საინგილო მიეკუთვნებოდა შუა კახეთს დროთა განმავლობაში ქართლ-კახურმა სამოსმა განიცადა ცვლილებები და მთიან რეგიონში მცხოვრებთა სამოსში გაჩნდა უახლოესი მეზობლის-დაღესტნის ტრადიციული სამოსის ელემენტები.

ინგილოურ სამოსში შემორჩენილია ქართული ტრადიციული სამოსის ელემენტთაგან აღმოსავლეთ მთიანეთისა და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოსათვის დამახასიათებელი ტანსაცმლის ელემენტი წინსაფარი, რომელიც შედის რაჭულ, სვანურ და მესხეთ - ჯავახელი ქალის ტრადიციულ სამოსში, აგრეთვე კაბის სახელოს ოვალური დაბოლოება-ყოში.

ინგილო ქალის ტრადიციულმა სამოსმა განიცადა ტრანსფორმაცია ახლო მეზობლების, კერძოდ დაღესტნისა და აზერბაიჯანის ზეგავლენით, რამაც განაპირობა სამოსის ცალკეული ელემენტების ცვლილება თუმცა სამოსში შენარჩუნებულია ქართული ტრადიციული სამოსის ელემენტები და საერთო ქართული ხასიათი.

ჩატარებული კვლევის შედეგები საინტერესოა როგორც სპეციალისტებისათვის, აგრეთვე ქართული ტრადიციული სამოსის შესწავლით დაინტერესებული ფართო საზოგადოებისათვის.

Teona Papuashvili, Lika Chogovadze
Akaki Tsereteli State University
Faculty of Technical Engineering
Applied Design, BA, 4th-year
Supervisor: Professor- Nino Dolidze
Georgia, Kutaisi

Transformation of Ingilo women's traditional clothes and its causes

The Georgian national dress is a hand-made monument of the material culture of the Georgian people, despite the problematic historical conditions of our country, it managed to preserve the traditions and Georgian character. Georgian national clothes are distinguished by delicacy and individuality. The used fabrics, constructions, decoration, etc determine its uniqueness and many other factors. Our research topic is the study of Ingilo women's traditional clothes and the transformation process that took place in it, which was determined by the close neighborly relations with the bordering countries. The interest in the mentioned topic was determined by the originality of Ingilo women's clothes and the lack of data on the mentioned issue.

Historically, the Ingilos were part of the Georgian ethnic group, but at the beginning of the 20th century, due to the border changes, they entered the territory of Azerbaijan. In 1921, Soviet Russia transferred part of the territory of Georgia - Saingilo to Azerbaijan. Today, the territory of Saingilo includes Belakni, Zakatli, and Kakh districts. At present, Ingilos live mainly in Azerbaijan. Christian Ingilos consider themselves Georgians, and Muslims consider themselves Azerbaijanis. Although Saingilo belonged to the middle of Kakheti, over time, the Kartl-Kakhuri clothes changed, and elements of the traditional clothes of the nearest neighbor - Dagestan, appeared in the clothes of the inhabitants of the mountainous region.

Among the elements of Georgian traditional clothing, the apron, which is characteristic of the eastern mountainous region and south-western Georgia, is included in the traditional clothing of Racha, Svan, and

Meskhetian women—Javakheli. The oval ending of the dress sleeve is also a characteristic element.

Ingilo women's traditional clothes transformed due to the close neighbors, Particularly the influence of Dagestan and Azerbaijan, which led to the change of individual clothing elements. However, the elements of traditional Georgian clothing and the general Georgian character are preserved in the clothing.

The research results are attractive to specialists and the general public interested in studying Georgian traditional clothes.

*ანა ეხვავია
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტი
გამოყენებითი დიზაინი, ბაკალავრი, მე-4 კურსი
ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი - თამარ მოსეშვილი
საქართველო, ქუთაისი*

ძველი მეგრული ოდა სახლი თანამედროვე ინტერიერის დეტალებით

ეროვნულობის თემა, ფოლკლორი, ეთნოსის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები პოპულარულია ადამიანის საქმიანობის სხვადასხვა სფეროებში. ადამიანები სასოებით ინახავენ თავიანთი წინაპრების კულტურულ მემკვიდრეობას, ტრადიციებს, შემოქმედებას და თაობიდან თაობას გადასცემენ მას.

ეთნიკური სტილი ინტერიერში - ეს არის ორიენტაცია ეროვნულ კოლორიტზე, წესებსა და ტრადიციებზე. დიზაინერმა მისი საშუალებით შესაძლებელია ინტერიერში შექმნას არა

მარტო უნიკალური და თვითმყოფადი გარემო, არამედ დეკორით, ტექსილით, ავეჯით გადმოცეს საკუთარი ეროვნული ხასიათი, კულტურული ფესვები. დიზაინის ეს მიმართულება გამოირჩევა თავისი უნიკალურობით და აქტუალურობით, ასევე მნიშვნელოვანია ისიც, რომ მისი შესრულებისათვის ძირითადად გამოიყენება ადგილობრივი მასალები.

საქართველოს სხვადასხვა კუთხეები განსხვავდებიან არქიტექტურით და კულტურული ტრადიციებით. დასავლეთ საქართველოში ოდა საცხოვრებელი სახლის გავრცელებული სახეობა იყო. ის წარმოადგენს ქვის ან ხის ბომბეზე შემდგარ ფანჯრებიან ფიცრულ სახლს ხის აივანითა და ჭერ-იატაკით. არსებობს ქვითკირის სართულზე გამართული ოდა. საცხოვრებლის ეს ტიპი გავრცელდა XIX საუკუნის II ნახევრიდან და შეცვალა შუაგეცხლიანი, მიწურიატაკიანი სახლი.

ჩვენს მიერ მოკვლეული და შესწავლილი იქნა ქ. ზუგდიდში სოხუმის ქ. N11 მდებარე ძველი მეგრული ოდა სახლის უნიკალური ნიმუში. არსებული მეგრული ოდა სახლი დაახლოებით 150 წლის წინაა აშენებული სამი ძმის – იონა, ფუცორა და სპირიდონ ხარებავების მიერ, რომელშიც დღეს მათი მოხუცი შთამომავლები ცხოვრობენ. ჩვენს მიერ შესწავლილი იქნა შენობის კონსტრუქცია, ოთახების განლაგება, მათში გათბობის საშუალებები, ინტერიერის ტექსტილისა და ავეჯის სახეები, შემუშავდა შენობის გეგმა-ნახაზი და სასტუმრო ოთახის დიზაინერული პროექტი ინტერიერის თანამედროვე და ძველი დეტალების გათვალისწინებით.

*Ana Ekхваia
Akaki Tsereteli State University
Faculty of Technical Engineering
Applied Design, BA, 4th-year
Supervisor: Associate Professor- Tamar Moseshvili*

Georgia, Kutaisi

An old Megrelian Oda house with contemporary interior details

The theme of national identity, folklore, and features of the ethnos is popular in various spheres of human activity. People carefully preserve their ancestral cultural heritage, traditions, and creativity and transmit them from generation to generation.

Ethnic style in the interior is an orientation towards national color, rules, and traditions. With its help, a designer can create a unique and authentic interior environment and convey his/her national character and cultural roots through decor, textiles, and furniture. This design direction is distinguished by its uniqueness and relevance, and it is also essential that local materials are mainly used for its execution.

Various regions of Georgia differ in architecture and cultural traditions. The so-called “Oda” was a common type of residential house in western Georgia. It is a log house with windows on stone or wooden pillars, with a wooden ceiling, floor, and balcony. There also exists the “Oda” built on a mortared-stone floor. This type of housing became popular in the second half of the 19th century and replaced the house with a fireplace and an earthen floor.

We found and studied a unique example of an old Megrelian “Oda” house located at 11 Sokhumi Street in Zugdidi. It was built about 150 years ago by three brothers, Kharebava - Iona, Futsora, and Spiridon. Their old descendants live in it today. We have studied the building structure, the layout of rooms, the heating facilities therein, and types of interior textiles and furniture, and developed a building plan drawing and a design project for the living room considering the contemporary and old interior details.

Alamanova Dana
Temirbek Zhurgenov Kazakh National Academy of Arts
Faculty of Painting, Sculpture and Design
Landscape Design, BA, 2nd year
Supervisor- Zhanar Sultan
Kazakhstan, Almaty

New Language of Art Criticism

Abstract: This study aims to draw attention to a serious but underreported problem in the field of art criticism: superficial assessment and constant condemnation and devaluation of contemporary art. Factors such as the incredibly rapid development of social networks, an increase in the number of artists and a variety of art directions, the accelerated pace of modern life, and a lack of attention span have led to a significant degradation of critical culture that now is becoming a source of negativity in the art space. This trend has replaced in-depth analysis and constructive criticism with superficial condemnation devoid of meaning and argumentation. Such events create severe obstacles to developing and improving the artistic environment and any kind of human activity in general. The study will analyze the causes of this decline and observe the scale of problems. The research results can serve as a basis for developing strategies to restore the value of art criticism and increase its effectiveness in modern art criticism.

თენგიზ დოლიძე
ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა
ფაკულტეტი
ხელოვნების მენეჯმენტი, მაგისტრი, II კურსი
ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი - ჰამლეტ სანიკიძე
საქართველო, ბათუმი

ხელოვნების როლი ტურიზმის განვითარებაში

ნაშრომში განხილულია ხელოვნების, როგორც ადამიანის შემოქმედებისა და წარმოსახვის ფიზიკური გამოხატვის პლატფორმის თანამედროვე ტენდენციები და მისი ამჟამინდელი მდგომარეობა, რომელიც გავლენას ახდენს ტურიზმის დარგის განვითარების დღევანდელი მოცემულობის რეალურ სურათზე, რომლის ანალიზიც ნათელყოფს, რომ ხელოვნება, რომელიც აერთიანებს სინამდვილისა თუ მოგონილის მხატვრული გამოხატვის სხვადასხვა ფორმებს მთელი ცხოვრების განმავლობაში ტურიზმის დარგზე მუდმივად ახდენდა გავლენას. მეტიც, ხშირ შემთხვევაში იგი ტურიზმის ინდუსტრიის ერთ-ერთი მთავარ მასტიმულირებელ კომპონენტს წარმოადგენდა.

მოცემულ სამეცნიერო ნაშრომში განხილულია ხელოვნების სხვადასხვა დარგების გავლენა ტურიზმის სფეროზე. შეფასებულია აწმყო და პერსპექტივები.

Tengiz Dolidze
Batumi Art State Teaching University
Faculty of Education, Humanities and Social Sciences
Art Management, MA, 2nd-year
Supervisor: Associate Professor – Hamlet Sanikidze
Georgia, Batumi

The role of art in the development of tourism

The article discusses the modern trends of art as a platform for the physical expression of human creativity and imagination and its current state, which affects the accurate picture of the current situation of the development of the field of tourism, the analysis of which clarifies that art, which combines various forms of artistic expression of reality or imagination throughout the life of tourism He constantly influenced the field. Moreover, in many cases, it was one of the main stimulating components of the tourism industry.

This scientific work discusses the influence of various branches of art on the field of tourism and assesses the present and prospects.

ნინო დუმბაძე
ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა
ფაკულტეტი
ხელოვნებათმცოდნეობა, ბაკალავრი, II კურსი
ხელმძღვანელი: პროფესორი - ერმილე მესხია
საქართველო, ბათუმი

**ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმის საგანმანათლებლო
პროგრამები**

თანამედროვე მუზეუმებში გარდა საგამოფენო მუშაობისა მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს საგანმანათლებლო პროგრამები. მსოფლიოს სხვადასხვა მუზეუმში საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დიდი გამოცდილება აქვთ. რაც შეეხება საქართველოს საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას არც თუ დიდი ხნის ისტორია აქვთ, ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ საქართველოს დამოუკიდებლობამდე არაერთი მნიშვნელოვანი საგანმანათლებლო პროექტს ანხორციელებდნენ, მაგრამ შინაარსითა და ფორმით განსხვავდება თანამედროვე პროგრამებისგან. ყველაზე დიდი განსხვავება მაინც ის არის რომ თანამედროვე მუზეუმები უპირატესობას ანიჭებენ ინტერაქტიულ პროგრამებს, ეს არის პროგრამების ის ტიპი, რომელიც მოიცავს ორივე მხარეს მუზეუმისა და პროგრამის მონაწილე პირების ჩართულობას. ინტერაქტიული პროგრამის განხორციელების კარგი პრაქტიკაა დანერგილი ხარიტონ ახვლედიანის სახელობის

მუზეუმში. აქ შემუშავებულია რამდენიმე მიმართულების პროგრამა: „ცხოველთა სამყარო აჭარაში“, „როგორ ცხოვრობდნენ აჭარაში ძველად“, „საქორწინო ტრადიციები აჭარაში“, „შავი ზღვის მრავალფეროვნება“ და სხვა... ეს პროგრამები მუზეუმის აუდიტორიის ინტერესებზეა მორგებული, ამიტომ ამ პროგრამის მონაწილეობა მოსწავლე-ახალგაზრდობის დაინტერესებას იწვევს და ამასთანავე ისინი დამატებით ახალ ცოდნას იღებენ მუზეუმებისგან.

Nino Dumbadze
Batumi Art State Teaching University
Faculty of Education, Humanities and Social Sciences
Art Criticism, BA, 2nd-year
Supervisor: Professor – Ermile Meskhia
Georgia, Batumi

Educational programs of the museum named after Khariton Akhvlediani

In modern museums, educational programs are an essential direction in addition to exhibition work. They have extensive experience implementing educational programs in various museums worldwide. As for the implementation of educational programs in Georgia, they do not have a long history. We should also remember that before the independence of Georgia, several critical educational projects were implemented, But it differs in content and form from modern programs. The most significant difference, however, is that modern museums prefer interactive programs, This is the type of program that involves the involvement of both the museum and the

program participants. A good practice of implementing an interactive program has been implemented in the museum named after Khariton Akhvlediani. Several programs have been developed here: "The World of Animals in Adjara," "How They Lived in Adjara in the Old Days," "Wedding Traditions in Adjara," "Diversity of the Black Sea," and others... These programs are tailored to the interests of the museum audience, so participation in this program arouses the interest of students and young people, and at the same time, they get additional new knowledge from museums.

*ბერიძე ინგა
ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
განათლების, კუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა
ფაკულტეტი
ხელოვნების ისტორია და თეორია, ბაკალავრი, II კურსი
ხელმძღვანელი: პროფესორი - მათა ჭიჭილაიშვილიძე
საქართველო, ბათუმი*

ტრადიციული საცხოვრებელი სახლები აჭარაში

საქართველოს ცალკეულ კუთხეებში შექმნილი ხალხური საცხოვრებლის ტიპები ისტორიულად ერთი ეთნოსის ნიშანთვისებებს ავლენს. ზემო აჭარაში გავრცელებული იყო მესაქონლეობა, ხოლო ქვემო აჭარაში-მიწათმოქმედება. სწორედ ამ ფაქტორმა განაპირობა საცხოვრებლის განსხვავებულ ფუნქციური გადაწყვეტა. აჭარის ტერიტორია საცხოვრებელ ნაგებობათა სახეების მიხედვით შეიძლება ოთხ ვერტიკალურ ზონად დაიყოს:

სამხრეთ აღმოსავლეთი, სამხრეთ დასავლეთი, ბარის და მთის ზონა.

ქართულ ხალხურ ხუროთმოძღვრებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს აჭარულ საცხოვრებელ ნაგებობათა კომპლექსს. აჭარული საცხოვრებელი სახლი წარმოადგენს რთულ კომპლექსს მასში გაერთიანებული სხვადასხვა დანიშნულების საცხოვრებელი და სამეურნეო სათავსები: ხალხამი, ახორი, საცხოვრებელი ნაწილი და თავანის სართული. აჭარული სახლისთვის დამახასიათებელია შენობის კომპლექსის ვერტიკალური ორგანიზაცია. საცხოვრებელ ნაწილში დერეფნის ორ მხარეს განლაგებულია სხვადასხვა დანიშნულების ოთახები როგორცაა: საუფროსო სახლი, სამზარეულო, ახალდაქორწინებულთა ოთახი, პროდუქტების შესანახი „სარძიე“ სათავსი და მორთულობით გამორჩეული სტუმრის ოთახი- „მეიდან-ოდა“. სახლის თითოეულ ოთახს გარკვეული დანიშნულება ჰქონდა. განსხვავებულია საცხოვრებლის ტიპი მეორე ზონაში, რადგან აქ უპირატესობა ენიჭება მიწათმოქმედება-მევენახეობის ტრადიციებს და შესაბამისად პირველ სამეურნეო სართულზე თავსდება მარანი. მესამე ზონაში წარმოდგენილი საცხოვრებელი კომპლექსები მსგავსებას დასავლეთ საქართველოს კარ-მიდამოს დაგეგმარების წესებთან ავლენს.

აჭარული საცხოვრებელი კომპლექსები ინარჩუნებს ტრადიციულ სახეს, დაგეგმარებისა და მშენებლობის თავისებურებებს, ისინი წარმოადგენენ ქართული ხალხური არქიტექტურის გამორჩეულ ნიმუშებს.

Beridze Inga
Batumi Art State Teaching University
Faculty of Education, Humanities and Social Sciences
Art History and Theory, BA, 2nd-year
Supervisor: Professor – Maia Tchitchileishvili
Georgia, Batumi

Traditional residential houses in Adjara

The types of folk dwellings built in separate corners of Georgia historically show the characteristics of one ethnic group. Cattle breeding was widespread in Upper Adjara, and farming in Lower Adjara. This factor led to a different functional solution for housing. According to the types of buildings, Adjarian residential areas can be divided into four vertical zones: southeast, southwest, bar, and mountain zone. The complex of Adjara residential buildings occupies a special place in Georgian folk architecture. The Adjarian dwelling house is a complex that includes residential and farm buildings of various purposes: khalkami, ashore, living part, and attic floor. The vertical organization of the building complex is characteristic of the Adjarian house. In the living part, on both sides of the corridor, there are rooms of different purposes, such as the master's house, the kitchen, the Newlyweds' room, „Sardzie“ – storeroom for storing products, and four „maidan-odes“ for guests that are distinguished by their decoration. Each room in the house had a specific purpose. The type of housing in the second zone is different because the farming and viticulture traditions are given priority here, and therefore, the cellar is considered to be on the first floor. The residential complexes presented on the third floor are similar to the rules of the house area of Western Georgia. Adjarian residential complexes preserve their traditional appearance, planning, and construction features; they are outstanding examples of Georgian folk architecture.

*ნინო გოგიბერიძე
ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო სასწავლო
უნივერსიტეტი
განათლების, კუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა
ფაკულტეტი
ხელოვნებათმცოდნეობა, ბაკალავრი, II კურსი
ხელმძღვანელი: პროფესორი - რატი ჩიბურდანიძე
საქართველო, ბათუმი*

ვახტანგ ბესელიას გრაფიკული სურათები

ვახტანგ (ბესო) ბესელია - ფერმწერი, გრაფიკოსი, სცენოგრაფი. თანამედროვე ქართული ხელოვნების ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი. დაიბადა სენაკში 1944 წელს. 1970 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის სახვითი ხელოვნების ფაკულტეტი. ფარნაოზ ლაპიაშვილის სახელოსნომ და იქაურმა ატმოსფერომ, დიდი გავლენა იქონია მხატვრის ზოგადი მსოფლმხედველობისა და პროფესიონალიზმის ჩამოყალიბებაზე. 1970-1972 წლებში იყო თბილისის ი. ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო სასწავლებლის პედაგოგი. 1974 წლიდან ხელოვანი ოჯახთან ერთად საცხოვრებლად ბათუმში გადადის და იქ განაგობს შემოქმედებითად ნაყოფიერ წლებს, როგორც სამხატვრო, ასევე სამუზეუმო და პედაგოგიურ საქმიანობაში.

დიდწილად, ხელოვანის ნამუშევრები გრაფიკულია, მის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია პორტრეტებს, ნატურმორტებს და პეიზაჟებს... ბოლო პერიოდში კი მხატვარი

ინტენსიურად მუშაობს გრაფიკულ სერიაზე, ქმნის ნამუშევრებს ბიბლიურ სიუჟეტებზე.

მხატვრის შემოქმედება განსაკუთრებით გრაფიკული პორტრეტები, ბიბლიური სიუჟეტები - ექსპრესიულია, მათში ნათლად იკვეთება ადამიანის შინაგანი სამყარო, გრძნობები და განცდები. ყველაფერი მატერიალური და მეორე ხარისხოვანი გამჭრალა პორტრეტებიდან და ხელოვნების ნიმუშებში განსაკუთრებული დატვირთვა მხოლოდ ადამიანის ბუნებრივობაზე, ინდივიდუალიზმზე და განცდებზე მოდის, რაც განსაკუთრებულ ემოციას უტოვებს მნახველს. ასევე აღსანიშნავია ნაწერების სერია, როგორც კოლორიტით და ტექნიკური თვალსაზრისით, ასევე შინაარსით, რომელიც დაკავშირებულია, როგორც ბიბლიურ სიუჟეტებთან, ასევე მხატვრის საყვარელ ქალაქთან - ბათუმთან.

ერთი სიტყვით, ხელოვანს განსაკუთრებული ხედვა და საშემსრულებლო სტილი აქვს, გამოირჩევა ლაკონიურობით, ფორმის და შინაარსის ჰარმონიულობით და პლასტიკურობით, რაც როგორც მას, ასევე მის შემოქმედებას განასხვავებს კოლეგებისგან.

Nino Gogiberidze
Batumi Art State Teaching University
Faculty of Education, Humanities and Social Sciences
Art Criticism, BA, 2nd-year
Supervisor: Professor – Rati Chiburdanidze
Georgia, Batumi

Graphic images of Vakhtang Beselia

Vakhtang (Beso) Beselia was a painter, graphic designer, and scenographer. He was one of the most conspicuous representatives of Georgian art. He was born in Senaki in 1944. In 1970 he graduated from Tbilisi State Art School Faculty of Fine Arts of the Academy. The Ink Art and atmosphere of Farnaoz Lapiashvili significantly influenced the artist in general on the formation of worldview and professionalism. In 1970-1972 he was a teacher of I. Nikoladze art school in Tbilisi. In 1974, an artist moved to Batumi with his family. After that, he spends creatively productive years there in artistic, museum, and pedagogical activities.

To a significant extent, his works are graphic. Portraits, still lifes, and landscape paintings are very special in his art. Recently, the artist has been intensively working on graphics series and creating works on biblical stories. The artist's works are especially graphic portraits and expressive biblical stories, clearly expressing the innermost being of a human and spirit, The world, feelings, and emotions. Everything material and secondary is faded from his art. The most important things in his paintings are that they express human nature, individualism, and feelings, which cause a special emotion in the viewers. A series of boats is noteworthy because of the range of colors and technical side. Also, it is essential with its content because it is connected to biblical stories and the artist's favorite city - Batumi.

In fine, an artist has a special vision and art style. His paintings are very special because of laconism, the harmony and plastic of the content and form. And this is exactly the main reason why Vakhtang and his arts are different from the other artists and paintings.

თეონა ირემაძე
ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა
ფაკულტეტი
ხელოვნების ისტორია და თეორია, ბაკალავრი, II კურსი
ხელმძღვანელი: პროფესორი - მაია ჭიჭილეიშვილი
საქართველო, ბათუმი

„ერთი ოდა სახლი გურიაში“

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიდისთავში, ქვენობნის გზაზე შემორჩენილია ოდა სახლი. სოფლის განაშენიანებაში ჩასმულ ნაგებობას ირგვლივ ფართო ეზო აკრავს. სახლი XIX საუკუნის პირველ ნახევარში აუგია ვაჭარ გიგო კალანდაძეს, რომელიც იმ დროს შეძლებული პიროვნება ყოფილა. სახლის მასალა და ავეჯი საფრანგეთიდან ჩამოუტანია. სხვადასხვა მოცულობებით გადაწყვეტილი ოდა სახლი კარგადაა მორგებული არსებულ რელიეფს. პირველი სართულისთვის, სამშენებლო მასალად, ქვიშაქვის კვადრები, აგური, რიყის ქვა და კირის ხსნარია

გამოყენებული. ქვიტვირის მასიურ კედლებზე დაშენებულია ხის სართული, რომელიც კარგად გათლილ ქვის სვეტებს ეყრდნობა. სახლი თავდაპირველად გადახურული იყო მარსელის კრამიტით. პირველ სართულზე არსებულ კვადრატული ფორმის დიდ სათავსოს სამეურნეო ფუნქცია ჰქონდა. მეორე სართულზე კი სხვადასხვა ზომისა და დანიშნულების ათი საცხოვრებელი ოთახი იყო განთავსებული, საიდანაც სოფლის თვალწარმტაცი ხედები იშლება. ოდა სახლის მნიშვნელოვანი დეტალია ფართოდ გაშლილი, ჭვირულ ჩუქურთმებიანი მოაჯირებითა და ანტაბლემენტით შემკული აივანი. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს სახლის მოხატული ინტერიერი, რომელიც, გადმოცემით, პეტერბურგელი ოსტატების ნახელავი უნდა იყოს. მოხატულობა შესრულებულია პირდაპირ ხეზე გრუნტის გარეშე, გამოყენებულია ზეთის, ასევე წყლის ბაზაზე დამზადებული საღებავები. ოთახების ფერწერულ დეკორს შეადგენს ჭერისა და კედლების შემამკობელი დეკორატიული ელემენტები - მოდერნის სტილის ორნამენტები, მარმარილოს იმიტაციის პანელები და ნატურმორტები. საცხოვრებელი სახლი თავისი არქიტექტურული გადაწყვეტითა და ფერწერული შემკულობით წარმოადგენს XX საუკუნის დასაწყისის ოდა სახლის ორიგინალურ ნიმუშს. ნაგებობა ამჟამად აღდგენილია, იგი წარმოადგენს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს.

Teona Iremadze
Batumi Art State Teaching University
Faculty of Education, Humanities and Social Sciences
Art History and Theory, BA, 2nd-year
Supervisor: Professor – Maia Tchitchileishvili
Georgia, Batumi

“One Oda House in Guria ”

In the village of Khidistavi in Chokhaturi municipality, on the way to Kvenobni, there is an Oda house. There is a sizable yard surrounding the building. Gigo Kalandadze, a wealthy merchant at the time, built the house in the first half of the 19th century. With its different volumes, the Oda house is well adapted to the existing terrain. For the first floor, sandstone squares, bricks, cobblestone stone, and lime solution are used as building materials. A massive stone wall is built with a wooden floor that rests on well-smoothed stone columns. The large square storeroom on the first floor had an agricultural function. On the second floor, there were ten living rooms of different sizes and destinations, from which the picturesque views of the village were spread out. An essential detail of the Oda house is the expansive balcony decorated with carved railings and entablature. Of particular interest is the painted interior of the house, which, according to legend, must be the work of St. Petersburg masters. The painting is done directly on the wood without primer; oil and water-based paints are used. The pictorial decor of the rooms is decorated with decorative elements for the ceiling and walls. The residential house, with its architectural solution and pictorial decoration, represents the original pattern of the house at the beginning of the 20th century.

მარიამ თავდგირიძე
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი
განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა
ფაკულტეტი
ხელოვნებათმცოდნეობა, ბაკალავრი, II კურსი
ხელმძღვანელი: ასისტენტ - პროფესორი - ნათია კვაჭაძე
საქართველო, ბათუმი

შუა საუკუნეების ლითონმქანდაკელობის ნიმუშები სალოლაშენიდან

შუა საუკუნეების ქართული ოქრომქანდაკელობა თავისი განვითარების მანძილზე საინტერესო, რთული და მრავალმხრივი სურათის მომცველია. ჭედური ძეგლები წმინდანთა თუ ქტიტორთა სახეებით ეპოქის სულს, მის ისტორიულ თუ მხატვრულ ცხოვრებაში მომხდარ ცვლილებებს მრავალმხრივ ავლენს. არქეოლოგიური მასალები მოწმობს, რომ უძველესი დროიდან მოყოლებული, საქართველოში ოქრომჭედლობა დიდად განვითარებული ყოფილა. ოქრომჭედლობა განვითარების ახალ ეტაპს აღწევს ქრისტიანობის დამკვიდრების შემდეგაც. შუა საუკუნეების მანძილზე, შემორჩენილი ძეგლთა დიდი რაოდენობა ოქრომჭედლობის განვითარების უწყვეტ ხაზს წარმოაჩენს. ქრისტიანობის დამკვიდრების შემდეგ, იქმნებოდა ხატები, ჯვრები, სახარების ყდები, მიტრები და სხვა საეკლესიო ნივთები, რომლებიც მოჭედილი იყო გამოსახულებებითა და სიუჟეტური სცენებით.

ქართული ოქრომჭედლობის უნიკალურ ნიმუშს წარმოადგენს X - XI ს-ის მიჯნაზე შესრულებული სალოლაშენის ხუთი ლორფინი. ისინი ქრისტეს ცხოვრების სცენებს ასახავს და ქართულ ლითონმქანდაკეობაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ძეგლებია. საუფლო დღესასწაულთა ვერცხლის, ნაწილობრივ მოოქროვილ ხატებზე მოცემულია სახარებისეული სცენები: „ხარება“, „მარიამისა და ელისაბედის შეხვედრა“, „მირქმა“, „ნათლისღება“ და „ამაღლება“. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს მათი მაღალმხატვრული შესრულება. 1982 წელს ხუთივე ნიმუში სალოლაშენიდან ძველი ქართული ხელოვნების მუზეუმში გადმოიტანეს.

მეცნიერ გ. ჩუბინაშვილის მოსაზრებით ლორფინები სავარაუდოდ „კარნი საკურთხევისანი“-ს მოჭედობას წარმოადგენენ. ხელოვნებათმცოდნე ნ.ბურჭულაძის მოსაზრებით კი ისინი კანკელის არქიტრავზე შემოსადგმელი საუფლო დღესასწაულთა ციკლის ხატები უნდა იყოს.

Mariam Tavdgiridze
Batumi Art State Teaching University
Faculty of Education, Humanities and Social Sciences
Art Criticism, BA, 2nd-year
Supervisor: Assistant Professor – Natia Kvatchadze
Georgia, Batumi

Middle Ages Samples of Metal Sculpture from Sagholasheni

During its development, the Georgian gold sculpture of the Middle Ages is fascinating and complex and covers a multifaceted picture.

Embossed monuments, the spirit of the age with the faces of saints or founders, show the changes in his historical or artistic life in many ways. Archaeological materials testify that goldsmithing has been highly developed in Georgia since ancient times. Goldsmiths reached a new stage of development even after the establishment of Christianity. During the Middle Ages, numerous surviving monuments show a continuous line of Goldsmith development. After the establishment of Christianity, icons, crosses, gospel covers, miters, and other church objects were created, which were engraved with images and story scenes.

A unique sample of Georgian Goldsmith is represented by five lorfini of saghola made at the turn of the 10th - 11th centuries. They depict scenes from the life of Christ and are one of the most important monuments in Georgian metal sculpture. On the silver, partially gilded icons of royal holidays, scenes from the Gospel are given: "The Annunciation," "The Meeting of Mary and Elizabeth," "The Naming," "The Epiphany," and "The Ascension". Special attention is drawn to their highly artistic performance. In 1982, all five

samples were transferred from Sagholashen to the Museum of Ancient Georgian Art.

In the opinion of scientist G. Chubinashvili, the Lorfins are likely to represent "Carni Sanktharveliani". According to art critic N. Burchuladze, they should be the icons of the cycle of royal holidays to be placed on the architrave of Kankeli.

*ანნა მელოა, შორენა ჩოგაძე
ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო სასწავლო
უნივერსიტეტი
განათლების, კომანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა
ფაკულტეტი
ხელოვნებათმცოდნეობა, ბაკალავრი, III კურსი
ხელმძღვანელი: პროფესორი რატი ჩიბურდანიძე
საქართველო, ბათუმი*

აქტივიზმი ქალთა ხელოვნებაში

წინამდებარე სტატიაში „აქტივიზმი ქალთა ხელოვნებაში“ განხილულია ისეთი პრობლემები, როგორცაა ადამიანის უფლებები, გენდერული თანასწორობა თუ ქალის როლი თანამედროვე საზოგადოებაში. გამომდინარე იქიდან, რომ დღევანდელობაში საკმაოდ მძაფრად წამოიწია სამოქალაქო აქტივიზმის თემამ, როგორც ჩართულობამ სოციალურ ცხოვრებასა და მის განვითარებაში, ყურადღებას ვამახვილებთ ბოლო პერიოდის ქართველ და უცხოელ არტისტებზე, რომლებიც

თავიანთი შემოქმედებით ეხმიანებიან და გამოხატავენ პოზიციას, როგორც თანამედროვე, ისე ყველა დროის აქტუალური პრობლემების შესახებ. სტატია წარმოადგენს ადამიანის უფლებებსა და მის გარშემო არსებული გამოწვევების კვლევას ხელოვნებაში. ამგვარად, ნაშრომში განხილულია ისეთ ხელოვანთა შემოქმედება, როგორებიც არიან: ფრიდა კალო, ჯორჯია ო'კიფი, ფეით რინგოლდი, ეთერი ჭკადუა, სოფია ჩერქეზიშვილი და პაულა რეგო. მათი შთაგონების წყარო პროტესტის შეგრძნებით საზრდოობს და ჰპოვებს საინტერესო ვიზუალურ გამოვლინებას.

Anna Melia, Shorena Chogadze
Batumi Art State Teaching University
Faculty of Education, Humanities and Social Sciences
Art Criticism, BA, 3rd-year
Supervisor: Professor – Rati Chiburdanidze
Georgia, Batumi

Activism in Women's Art

In the following article, 'Activism in Women's Art,' we will examine issues related to civil rights, gender equality, and women's roles in modern society. Since civil activism is one of the central issues expressing itself in social life and its improvement, the article draws attention to both modern and timeless issues revealed in art. We aim to explore human rights and its challenging problems through this discussion. Therefore, the given article includes information about artists who have addressed the mentioned

issues, including Frida Kahlo, Georgia O'Keeffe, Faith Ringgold, Eteri Tchkadua, Sophia Cherkeshishvili, and Paula Rego. Inspiration, creativity, and originality of given artists nourished by today's social issues mostly tend to express positions through interesting visual artworks.

Dinara Yesmagambetova
Temirbek Zhurgenov Kazakh National Academy of Arts
Animated Film Directing, BA, 1st-year
Supervisor: Kanzharkul Turemuratova
Kazakhstan, Almaty

Art Criticism: Contemporary Art criticism problematics

INTRODUCTION

Contemporary art impacts every individual through advertising images, goods in stores, or the Internet. This influence leaves its mark on the individual's worldview.

Contemporary art actively interacts with the viewer but can cause misunderstanding or even rejection of its forms and meanings. This raises the question of correctly interpreting what has just been seen.

RESULT AND DISCUSSION

It's important to note that modern art is often surrounded by myths and misconceptions, such as the belief that "modern artists lack drawing skills and education". What truly matters is the artist's ability to articulate and effectively articulate a clear concept through their chosen medium.

Viewers often approach modern art with a simple like or dislike mentality based on personal emotional responses.

A structured approach to better understanding modern art involves observing artwork with a relaxed mindset and considering elements like materials, techniques, emotions, and meanings. By unraveling these complexities, viewers can gain insight into the artist's intentions and the work's context, ultimately finding the experience rewarding and enriching.

CONCLUSION

Contemporary art prompts deep reflection through unconventional methods, using unique materials and minimalist concepts to provoke strong reactions. It challenges social norms.

*Krista Petrauska
Art Academy of Latvia
Faculty of Art Science
Art History and Theory, MA, 2nd-year
Supervisor: Professor - Silvija Grosa
Latvia, Riga*

National Art and Christian Tradition: Altarpieces in Latvia

The research presents an overview of Christian altarpieces in independent Latvia (1918-1940; 1990-...) and aims to assign Latvian sacred art its unique place in history. After WWI, Latvian national art continued to flourish – more and more young and professional local artists appeared (Konstants, 2018:423, Kalnačs, 2010:53, Gritāne, 2015:59, Grosmane, 2014;36-44), and congregations became accustomed to and demanded well-equipped and beautifully designed church interiors. Church became aware not only of the Christian but also of its Latvian identity. Sometimes, the realization of this identity took precedence over Christian tradition, and artworks included motives of local nature, people, and pagan folklore (Bīne, 1933:514). Independence from the Soviet occupation in 1990 marked a

